დებულება
(პროექტი)
საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებისა და წახალისების წესის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები
მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1.1. „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებისა და წახალისების წესის შესახებ“ დებულება (შემდგომში „დებულება“) შემუშავებულია ა(ა)იპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცის - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის“ ((შემდგომში „ასოციაცია“) წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძელზე.

1.2. დებულების ნორმები არეგულირებს ასოციაციის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებისა და წახალისების, მათი გამოთვლის, ფინანსური ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ასეთი ანაზღაურებისა და წახალისების არასამართლიანი გაცემის შესახებ ინფორმაციის გაცხადების წესებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. ასოციაციის გამგეობა - ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანო რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ფუნქციებს. გამგეობა, ასოციაციის წესდების შესაბამისად, პასუხისმგებელია ასოციაციის ყოველდღიური საქმიანობისას გადაწყვეტილებების მიღებაზე.

2.2. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარე - ასოციაციის აღმასრულებელ-განმკარგულებელი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელიც წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2.3. ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭო - ასოციაციის ორგანო, რომელიც აკონტროლებს ასოციაციის მიერ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად განხორციელებას.

2.4. შრომის ანაზღაურება - ამ დებულების მიზნებისთვის, ასოციაციისთვის გაწეული სამუშაოს ან/და მომსახურების ანაზღაურება ხელფასის, დანამატის და წახალისების სახით.

2.5. დანამატი - ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულების, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შრომის ანაზღაურება.

2.6. წახალისება - დამატებითი სახის ბენეფიტი (ბონუსი, პრემია და სხვა) განსაკუთრებული სამუშაო მიღწევების ან/და სამსახურებრივი წახალისების მიზნით, ხელფასის და დანამატის გარდა.

2.7. სარგებელი - დაზღვევის, მივლინების, მგზავრობის, კვალიფიკაციის ამაღლების, სტაჟირების, სწავლის, ავტომანქანით სარგებლობის, საპენსიო ფონდის და სხვა ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ხარჯი, რაც საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება სარგებლად.

თავი II შრომის ანაზღაურების წესი
მუხლი 3. შრომის ანაზღაურების ზოგადი პრინციპები

3.1. გამგეობის წევრების, მათ შორის, თავმჯდომარის, და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, მათ შორის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა ეყრდნობოდეს ბაზრის მაჩვენებლებსა და შესაბამისი ფინანსური წლისთვის არსებულ ან პროგნოზირებულ ასოციაციის ბიუჯეტს.

3.2. კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის, შრომის ანაზღაურება უნდა იყოს სამართლიანი, სათანადო და კონკურენტუნარიანი ამავე ინდუსტრიაში არსებულ პირობებთან მიმართებით.

3.3. შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება გამოცდილება, განათლება, პროფესიული უნარები და მიღწევები.

3.4. შრომის ანაზღაურების დასადგენად გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვა.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურების და სარგებლის სტრუქტურა, შვებულება

4.1. ასოციაციაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შრომა ხელფასის სახით ანაზღაურდება არანაკლებ თვეში ერთხელ.

4.2. ასოციაციასთან მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შრომა ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.3. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი საათებისა და ხელფასის გათვალისწინებით, ამ დებულებით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

4.4. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან (სხვა ფუნქციების შესრულება), ეძლევა არმყოფი პირის ხელფასი, თუ იგი აღემატება მის ხელფასს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ხელფასი მისი შემცვლელი პირის ხელფასზე ნაკლებია, შემცვლელ პირს უნარჩუნდება თავისი ხელფასი. პირს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე (დამატებითი ფუნქციების შესრულება), თავისი ხელფასის გარდა, ეძლევა დანამატი ამ დებულებით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

4.5. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანამატის ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პირის ხელფასის ერთი თვის ოდენობას, ხოლო წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატის ოდენობა - ხელფასის წლიური ოდენობის 1/3-ს.

4.6. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წახალისების ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი პირის ხელფასის ერთი თვის ოდენობას, ხოლო წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი წახალისების ოდენობა – ხელფასის წლიური ოდენობის 1/3-ს.

4.7. გარდა შრომის ანაზღაურებისა, გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას სარგებლით მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად.

4.8. ასოციაციაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ყოველწლიური შვებულება, სამუშაო და დასვენების დრო განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და ასოციაციის შრომის შინაგანაწესის შესაბამისად.

4.9. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს თუ ასეთი სამუშაოს შესრულება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და შეუძლებელს არ ხდის საქმიანობის ჯეროვნად შესრულებას ასოციაციაში.

4.10. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე არ გაიცემა საპენსიო დანამატი, გარდა დაგროვებით საპენსიო სისტემაში, დამსაქმებლის მიერ, ხელფასის გაცემისას დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილე დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით, „დაგროვებითი პენსიის შესხებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელებული საპენსიო შენატანისა.

4.11. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული შრომის ანაზღაურება ექვემდებარება დაბრუნებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 5. გამჭვირვალობა

5.1. ასოციაცია გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს, წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გადასცემს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე გაცემული შრომის ანაზღაურების, დანამატის, წახალისების და მიღებული სარგებლის შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

5.2. ასოციაციის მიერ გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე გაცემული შრომის ანაზღაურების, დანამატის, წახალისების და მიღებული სარგებლის შესახებ ფინანსური ინფორმაცია უნდა ინახებოდეს

უსაფრთხოდ და ორგანიზებულად. ეს ჩანაწერები, მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემა უფლებამოსილ პირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. კონფიდენციალურობა და რეგულაციებთან შესაბამისობა

6.1. ასოციაციის მიერ გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის გაცემული შრომის ანაზღაურების, დანამატის, წახალისების და მიღებული სარგებლის შესახებ ფინანსური ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ინახება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ ინფორმაციაზე წვდომის უფლება ენიჭებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების, დანამატის, წახალისების და სარგებლის ის პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება ასოციაციის წესდების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. დებულება ძალაში შედის საერთო კრების მიერ მისი დამტკიცებისთნავე.

7.3. დამტკიცებიდან ორი კვირის ვადაში დებულება უნდა განთავსდეს ასოციაციის ოფიციალურ ვებსაიტზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი გახდეს ასოციაციის წევრებისათვის.

7.4. დებულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა, ასევე მისი გაუქმება ხორციელდება იმავე წესით, რაც გამოიყენება დებულების მიღების დროს.

დმატკიცებულია ასოციაციის საერთო კრების მიერ 24.11.2023 წელს.